

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლების ეფექტური მეთოდები (მშობლიური ენა და ლიტერატურა)

თინათინ სახელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

ანოტაცია

განათლების სისტემის რეფორმა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა ქართულ სინამდვილეში, რადგან საზოგადოების ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, გარკვეული წინსვლა აშკარაა და სასიკეთო ნაბიჯებიც ნამდვილად გადაიდგა ამ მიმართულებით. მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა რეფორმის უმთავრესი ნაწილია, რომელიც სწავლა/სწავლების შედეგებზე უნდა აისახოს. ვფიქრობ, დღეისათვის ყველაზე მეტი პრობლემა ამ თვალსაზრისით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლების პროცესში ჩანს. საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები ახალ ეპოქაში თავისთავად უფრო სწრაფად ადაპტირდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, რადგან მათი გამოყენება აუცილებელია საგანთა გარკვეული ნაწილის სწავლებისას. რაც შეეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, კერძოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, სწავლების პროცესი კვლავ ძველი მეთოდებით მიმდინარეობს, რაც აისახება კიდევ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე. საგნისადმი ინტერესის ნაკლებობის მიზეზია ისიც, რომ ახალგაზრდების უმეტესობა ორიენტირებულია აირჩიოს პროფესიად ისეთი მიმართულება, რომელიც პასუხობს საუკუნის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, სტატია მიზნად ისახავს გარკვეული გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარებას იმ პედაგოგებისთვის, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობენ და ასწავლიან მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. ძირითადი აქცენტი გვექნება ლიტერატურის სწავლებაზე, რადგან ეს უკანასკნელი ადამიანის ფსიქო-სიციალურ განვითარებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს.

საკვანძო სიტყვები: სწავლა/სწავლების პროცესი; მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება; ინტეგრირებული გაკვეთილი;

XXI საუკუნის გამოწვევებმა და მიღწევებმა ცხადყო, რომ პროგრესულად მოაზროვნე ინდივიდების ჩამოყალიბება, მათი მსოფმხედველობის ფორმირება, ზნეობრივ-მორალური პრინციპების განმტკიცება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა მოხდეს. სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შექმნის უნარი, რათა შეძლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება. აღნიშნულმა საკითხმა განაპირობა ის, რომ ბოლო რამდენიმე წელია მიმდინარეობს განათლების სისტემის რეფორმა, რაც თავისთავად

გულისხმობს მასწავლებელთა პროფესიულ გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი ტექნოლოგიების ათვისებას და მათ პრაქტიკაში დანერგვას.

საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც საბჭოთა ქვეყნებში მუშაობდა, დღეს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. საქართველომ წარმატებული ქვეყნების გამოცდილება აუცილებლად უნდა გაიზიაროს, მოარგოს ის საკუთარ კულტურას და განამტკიცოს. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ისეთი ქვეყნების გამოცდილება, რომელთა ფსიქო-სოციალურ-პოლიტიკური გარემოც ჰგავს ჩვენსას. საყოველთაოდ მიღებული სწავლების მეთოდები გადასახედი და დასახვეწია.

ცნობილი ამერიკელი, განათლების ფილოსოფოსი, ჯონ დიუი ამბობდა, რომ ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ხედავდეს განათლების მნიშვნელობას. ჯერ კიდევ საუკუნეების წინ, აღორძინების ხანის დიდმა ქართველმა დიდაქტიკოსმა და რეფორმატორმა, დავით გურამიშვილმა განათლების მიღების აუცილებლობაზე მსჯელობისას განმარტა, რომ ბავშვს ადრეული ასაკიდან უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სწავლის საჭიროების შესახებ, რადგან ცოდნა ადამიანს საკუთარი თავისა და გარესამყაროს შეცნობაში ეხმარება.

განათლების რეფორმის მთავარი მიზანია აქტიური, კრიტიკულად მოაზროვნე, კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე აღიზარდოს და ჩამოყალიბდეს სკოლაში, რომელსაც განვითარებული ექნება სხვადასხვა უნარები. საკომუნიკაციო ჩვევები (წერა, კითხვა, გამართული მეტყველება, მოსმენა) . ახალ ათასწლეულში მოსწავლე-ახალგაზრდობას ბევრი სიახლე ელის. წინ საინტერესო და მრავალფეროვანი გზები ისახება, სწორედ ამიტომ, პედაგოგებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ, თავდაუზოგავი შრომა და პროფესიული ზრდა. ბევრი რამ გასაუმჯობესებელი და დასახვეწია . მათ ისე უნდა მიაწოდონ მოსწავლეს ახალი ინფორმაცია, რომ გაითვალისწინონ მისი ინტელექტი, გონებრივი შესაძლებლობები და უნარები. სკოლა, განათლების სისტემაში მთავრი ღერძია, რომელიც საზოგადოების მომავალ წევრებს ზრდის. ჯანსაღად, კრიტიკულად მოაზროვნე თაობა თავად შექმნის ახალ ღირებულებებს და არსებულ მიღწევებს კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეს ადრეული ასაკიდან განუვითაროს შემოქმედებითი და ინტუიციური აზროვნება. სწავლის პროცესი უნდა იყოს დინამიური. ამასთან ერთად, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მასწავლებლები არიან მეგზურები, მრჩეველები და არა ხელმძღვანელ-მენტორები. იაკობ გოგებაშვილი წერდა: "სადაც მეხსიერება ვარჯიშობს და გონება დაჩაგრულია, იქ ფორმალური ცოდნაც კი ვერ მოიკიდებს ფეხს". მიმაჩნია, რომ აუცილებელი როდია მოსწავლეებს ვასწავლოთ და ვაზუთხინოთ ზეპირად გრამატიკული წესები ან ამონარიდები ტექსტიდან. ვფიქრობ, უფრო საინტერესო და მიმზიდველია, როდესაც კონკრეტული მაგალითით ბავშვი თავად აყალიბებს წესს. აზროვნებს დამოუკიდებლად. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვმა თეორიულად იცის რა არის არსებითი სახელი, მაგრამ წინადადებაში მას ვერ პოულობს. ამგვარი ლაფსუსების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია წესი ვაწარმოოთ მაგალითებიდან. მასწავლებლის ამოცანაა ასწავლოს არა მარტო ის, თუ რა არის არსებითი სახელი, არამედ ყველაზე მთავარია, მოსწავლემ

შემდგომ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ეს არის მეთოდი, რომელიც მიმართულია სწავლისკენ და არა ზეპირობისკენ. ამ შემთხვევაში სწავლა არის გაგებისთვის. პროცესი კი უნდა იყოს სასიამოვნო და არა "მწარე". ასეთი მიდგომა და ხერხი მოსწავლის ინტელექტის ამაღლებას ემსახურება.

ყველას გვახსოვს როგორ ისწავლებოდა სკოლებში მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაზე. ნაკლებად ექცეოდა ყურადღება მოსწავლის შემოქმედებით უნარს, მის დამოუკიდებელ და განსხვავებულ მოსაზრებას, ხშირად სხვაგვარად ფიქრი დასჯადიც კი იყო. იწერებოდა ერთმანეთის მსგავსი თემები, ერთნაირი შესავლითა და დასკვნით, რომელიც ლიტერატურულ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ვერ ავითარებდა ბავშვის გონებას, მოზარდი ექცეოდა სხვათა აზრებისა და შეხედულებების გავლენის ქვეშ, რაც საზოგადოებისთვის განვითარების გზაზე უკუსვლის პირველი ნიშანია. ჩარჩოში მოქცეული გონება ღირებულს ვერაფერს შექმნის.

მოსწავლეს წერის კულტურა რომ განუვითარდეს, შემდგომ პუბლიცისტური ნაშრომის ან ესეს დაწერა, მას უნდა მიეცეთ სრული თავისუფლება და არ უნდა შეეზღუდოს. მოზარდმა უნდა გამოხატოს საკუთარი აზრი, არგუმენტირებულად იმსჯელოს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნასწავლი მასალა გამოიყენოს როგორც ბაზისი. დევიდ პერკინსის აზრით, მთავარია ცოდნის შენარჩუნება, გაგება-გააზრება და შემდეგ აქტიური გამოყენება. საყურადღებოა მოსწავლეთა აზროვნების პროცესები და არა მხოლოდ შედეგები. ვგულისხმობ იმას, თუ როგორ მიდის მოსწავლე კონკრეტულ დასკვნამდე, როგორ ავითარებს საკუთარ აზრს. აფასებს პერსონაჟს, ყურადღებას ამახვილებს მის დადებით და უარყოფით თვისებებზე.

მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს ახალი ინფორმაციის მოპოვებაში და მისცეს მითითებები. ამ შემთხვევაში გაკვეთილი იქნება ბევრად უფრო მიმზიდველი და ნაყოფიერი, აუცილებელია ბავშვთან თანამშრომლობა. ლიტერატურის სწავლა/სწავლება ეს არის აზრების, შეხედულებების გაცვლის ყველაზე სასიამოვნო პროცესი. ამასთან ერთად, მოსწავლემ, მასწავლებლის სიტყვიერი მინიშნებებით თუ კომენტარებით, შეძენილი ცოდნა ახალთან უნდა დააკავშიროს.

ბავშვის ბუნება ვერ იტანს სიყალბეს, ამიტომ მასწავლებელმა ცოცხალი შთაბეჭდილებებით, თვალნათელი ფაქტებით, პრეზენტაციებით და დიალოგით, კითხვა-პასუხით უნდა მიაწოდოს მას აუცილებელი ინფორმაცია. არ არის საჭირო სინამდვილის გაზვიადება (ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით), გადაჭარბება და კრიტიკა. ისტორია რეალურ ფაქტებზე აგებული ინფორმაციაა, ამიტომ ბავშვმა თავად უნდა გააკეთოს ლოგიკური დასკვნა.

ძალზე მნიშვნელოვანია ემოციური მასალა, სასურველია ვაჩვენოთ ფოტომასალა, ძველი ხელნაწერები, (წავიყვანოთ გაკვეთილის თემიდან გამომდინარე ხელნაწერთა მუზეუმში) რადგან მოზარდის გონება, მეხსიერება ადვილად ითვისებს იმას, რაც მასზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ძალდატანება არ არის საჭირო, შემეცნება-გათავისება ბუნებრივად მიმდინარეობს. ასეთი მიდგომა საგნის სწავლების

პროცესს საინტერესოსა და მრავლისმომცველს გახდის. გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობაც.

ინტეგრირებული გაკვეთილი, როგორც მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს რამდენიმე საგნის თანადროულად ათვისებას და უღვივებს მოსწავლეს სხვადასხვა საკითხისადმი ინტერესს.

ზემოთ უკვე ვისაუბრე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლების რამდენიმე მეთოდზე, კერძოდ კონკრეტული საგნის სწავლების უფრო ეფექტურ საშუალებებზე. მიმაჩნია, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სწავლების ეფექტური მეთოდი. ინტეგრაცია - ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და მისი განმარტებაა ურთიერთგავლენა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის საგანი, მოვლენა, მონათესავე ან განსხვავებულ მეცნიერებაზე.

დღეს ძალზე აქტუალური საკითხია საგანთა ინტეგრირება და მათი ერთ მთლიანობად განხილვა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის ასეთი საერთო ხაზის მოძებნა სირთულეს არ წარმოადგენს, პირიქით წარმოუდგენელია ლიტერატურა, ენა, ისტორია ან ხელოვნება ასწავლო მოსწავლეს ისე, რომ საერთო ნიშნებსა და თემებზე არ ესაუბრო. ლიტერატურა ყველაფერს ერთად მოიცავს, ისტორიულ ასპექტს, ხელოვნებას, და რასაკვირველია, კულტურათა შორის ურთიერთობას და გავლენას. ხელოვნება ისტორიის სარკეა, ეპოქის გამოძახილი, მისი ასახვა ხელოვნების ნიმუშებსა და ნაწარმოებებში ხდება, ამიტომ ამ ორ მეცნიერებას მხოლოდ ერთად განვიხილავთ. მაგალითად, თუ მოსწავლეს წავიყვანთ მცხეთაში და ვაჩვენებთ მას სვეტიცხოველს, ვისაუბრებთ მის არქიტექტურაზე, ყურადღებას გავამახვილებთ ტაძრის აგებულებასა და ფერზე, ყურადღებით დავათვალიერებინებთ კედლის მხატვრობას, ფრესკებს, აუცილებელია მოვუთხროთ მოზარდებს X-XI საუკუნეების საქართველოს ყოფაცხოვრებასა და პოლიტიკურ ვითარებაზე. ვუამბოთ მათ ისტორიულად ცნობილი პიროვნებების შესახებ, რომელთაც ძეგლის აგებაში დიდი როლი აქვთ. ისტორია და ლეგენდა, რომელმაც ასახვა ჰპოვა ლიტერატურაში და იქვე, რასაკვირველია, უნდა გავიხსენოთ დიდ ქართველი მწერალი, რომელმაც ამ დიდებულ ქმნილებას სულ სხვა სიცოცხლე შთაბერა. ამგვარი გაკვეთილი იქნება მეტად ეფექტური, ინფორმაციულად დატვირთული და მოსწავლის ინტელექტს კიდევ უფრო მეტად აამაღლებს. სამუშაო, რომელიც მსგავსი ტიპის აქტივობას გულისხმობს, იგნორირებულია ტრადიციული სწავლებისას, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება კი სწორედ ამგვარ მუშაობას გულისხმობს. მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაც ხომ ამას გულისხმობს. ჰოვარდ გარდნერის აზრით, ყველა ბავშვს (ადამიანს) აქვს რვავე ტიპის ინტელექტი და შეუძლია მათი საკმაოდ მაღალ დონეზე გამოყენება. აღნიშნული აქტივობა, ექსკუსია, ვერბალურად სრულიად ახალი ინფორმაციის მიწოდება ბავშვის უნარების განმტკიცება-გამოვლენას ემსახურება, რათა არ მოხდეს მოზარდის მხოლოდ ერთი მიმართულებით განვითარება.

სკოლის ფუნქცია, მასწავლებლის დანიშნულებაა რომ მოსწავლეებში სხვადასხვა ჩვევები, დაფარული ნიჭი განავითაროს. ჩემი აზრით, მასწავლებლის

მიზანია ბავშვისთვის გასაგებ ენაზე, ძალდატანებისა და ზედმეტი ჩარევის გარეშე მიაწოდოს ისეთი მასალა, რომელიც მოზარდის ცოდნას კიდევ უფრო გაამდიდრებს .

ლიტერატურა, ისტორია და ხელოვნება ერთმანეთის ამხსენელი და ჯაჭვური მეთოდით გადაბმული მეცნიერებებია. ძნელი წარმოსადგენია აღიქვას ბავშვმა ლაღო ასათიანის ლექსი და მას არ ჰქონდეს ნანახი ფიროსმანის თუნდაც ერთი ნახატი. ფერთა სიმბოლიკა, რომელიც როგორც ლიტერატურაში , ასევე ფერწერაში ამოუწურავი და მეტად საყურადღებო საკითხია.

ქართული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება და ისტორია ერთ მთლიან სისტემას ქმნის, რომელიც ცალკე აღებული არასრული ბირთვია. მასწავლებელს შუძლია ბავშვს უფრო ნათლად დაანახოს ის განმასხვავებელი და საერთო ნიშნები, რომელიც ქართულ ლიტერატურას ახასიათებს სხვა კულტურებთან მიმართებაში. მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების და ანალიზის უნარის გამომუშავების მიზნით , ამგვარი მეთოდი ყველაზე ეფექტურია, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში არა მხოლოდ ეროვნული ღირებულებების განმტკიცებას, არამედ ინტერკულტურული, მულტიკულტურული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე , ს. გორგაძე; „ განვითარებისა და სწავლების თეორიები“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2011 წ.
2. რ.ტყემალაძე, ნ.დალაქიშვილი, ქ.თოფაძე, თ.პაჭკორია. თ. ბუწაშვილი „სწავლება და შეფასება“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2011წ.
3. ვ.როდონია, ნ.ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი „ქართული ენა და ლიტერატურა IX კლასი “ ; სწავლანი; 2012წ.
4. ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, ტ.ბოლი, ნ.გოგიჩაძე, თ. ლოდია „სასწავლო და პროფესიული გარემო“; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; 2011წ.